

კოგნიტიურ კონცეპტთა და ენობრივ მოდელთა შეუსაბამობის შესახებ

ფსიქოლინგვისტიკის თეორიული პოსტულატები დაედო საფუძვლად კოგნიტიური ლინგვისტიკის აღმოცენებას, რომლის ძირითად მიმართულებას სემანტიკურ და კოგნიტიურ პროცესთა თანაფარდობის შესწავლა წარმოადგენს. სწორედ ფსიქოლინგვისტებმა დაასაბუთეს არავერბალური აზროვნების არსებობა, რისი გაზიარებითაც კოგნიტოლოგებმა წამოაყენეს თავიანთი დებულება, რომ არ არსებობს აუცილებელი კავშირი კონცეპტსა და სიტყვას, კონცეპტსა და ვერბალიზაციის სხვა ენობრივ საშუალებებს შორის. კონცეპტი შეიძლება ენობრივად მატერიალიზებული იყოს ან არ იყოს ვერბალიზებული ენობრივი საშუალებებით. ვერც გაგარეგნება და ვერც არავერბალიზებულობა ვერანაირ გავლენას ვერ იქონიებს კონცეპტის, როგორც აზროვნების ერთეულის, არსებობაზე. მათი მტკიცებით, ადამიანის ცნობიერებაში ბევრი არავერბალიზებული კონცეპტია. კონცეპტის ვერბალიზება კი მის კომუნიკაციურ რელევანტურობაზე დამოკიდებული [Попова, Стернин 2007: 18].

ენაში, უფრო ზუსტად, დისკურსში მატერიალიზებულ კონცეპტებზე დაკვირვება, ბუნებრივია, გაცილებით მარტივია. ენის საშუალებით შეგვიძლია შევიცნოთ და ავხსნათ ადამიანის ცნობიერების კონცეპტური შინაარსის მნიშვნელოვანი ნაწილი. ის ფაქტი, რომ ზოგიერთ კოგნიტიურ კონცეპტს ენობრივი ეკვივალენტი არ გააჩნია, ქართულ დისკურსში შემდეგი გამონათქვამებით დასტურდება: **ვერ გამოვთქვამ; ენით გამოუთქმელი; სიტყვით ვერ აღწერ; სიტყვები არ მყოფნის; სიტყვებს ვერ ვპოულობ** და სხვ. მოხმობილი შესიტყვებები განსაკუთრებულ შემთხვევას აღწერს. მათი შინაარსი შევადაროთ შემდეგ მეცნიერულ დებულებას: ცნობიერება მოიცავს არა მარტო აზრის ლოგიკურ ფორმებს, არამედ ემოციურ-შემფასებლურ, ნებელობითსა და გრძნობით-ხატოვან მენტალურ სფეროებსაც, რომელთა გაგარეგნება ხდება ენობრივი საშუალებებით – სიტყვებით, თავისუფალი და მყარი შესიტყვებებით, წინადადებებით, ტექსტებითა და ასოციაციური ველებით. ენა ამ

გზით უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას საზოგადოებაში და ცნობიერების შინაარსს მისაწვდომს ხდის დაკვირვებისათვის.

იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც „გამოუთქმელის გამოთქმის“ საჭიროება დგება, პოეტები და მწერლები ინდივიდუალურ-საავტორო ნეოლოგიზმებს, ოკაზიონალიზმებს გვთავაზობენ, რომელთაც ენაში არსებული სიტყვათწარმომქმნელი თუ ფორმაწარმოებითი მოდელების მიხედვით ქმნიან. მაგალითად მოვიყვანთ მუხრან მაჭავარიანის ისეთ კონტექსტებს, რომლებშიც ოკაზიონალიზმები და მათი წარმომშობი მოდელები გვერდიგვერდაა წარმოდგენილი: „ყოვლად **უქრისტო**, / ყოვლად უდმერთო! / როგორ გარბის დრო!“, „გინდა აფრენა – / **აბელურება**“, „**გავგანთიადდი**, / გავდიადდი, გავგანიერდი“, ტარიელ ჭანტურიას პოეზიაშიც გვხვდება წყვილ-წყვილად წარმოდგენილი სანიმუშო მოდელი და მას მორგებული ოკაზიონალიზმი, მაგალითად: „ქვეწარმავალი – ზეწარმავალი“, „თავი მოიცოცხლუნა – თავი მოიმკვდარუნა“ და სხვ. სიტყვათქმნადობის ამგვარი ნიმუშები ენობრივ თამაშად, მხატვრულ ხერხად შეიძლება შევაფასოთ, ისინი იდიოსტილის კუთვნილებაა, ფართოდ არ ვრცელდება და ენის ლექსიკონში არ მკვიდრდება. ჩვენი ინტერესის საგანი კი ის შემთხვევებია, რომლებიც ფხვს იკიდებს თანამედროვე ქართულ დისკურსში.

ბეჭდური და ელექტრონული მედიის ტექსტების შესწავლისას 677 კონტექსტი გამოვლინდა, რომელშიც სიტყვა „ძველგაზრდა“ გამოყენებული. ამ ერთეულის ხმარების სიხშირესა და ავტორთა სიჭრელეს საგანგებოდ ვასახელებთ იმის საჩვენებლად, რომ მას ოკაზიონალიზმის კვალიფიკაციას ვერ მივანიჭებთ. აღნიშნულ კონტექსტთა უმრავლესობაში „ძველგაზრდა“ „ახალგაზრდას“ გვერდითაა ნახმარი, მაგალითად: „არვიცი, ედჰ-ს ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა წევრები ასეთ რაღაცას რისთვის აკეთებენ“ (რ. მაჩაიძე, „რეზონანსი“) ან: „ამირანის“ გადაჭყდილ დარბაზში უამრავი ახალგაზრდა და ძველგაზრდა რეჟისორ-სცენარისტ-ოპერატორი იმყოფებოდა“ (დ. ბუხრიკიძე, „ცხელი შოკოლადი“), თუმცა ეს ერთეული დამოუკიდებლადაც შეგვხვდა: „ყველანი კარგად ვხედავთ, როგორ იქცევიან ძველგაზრდა ადამიანები სხდომათა დარბაზში“ (გ. ცაგარეიშვილი); „ქართველი ძველგაზრდა სპეციალისტები გყავდა, არ გაამართლა, უცხოელები მოვიწვიეთ, ვერც იმათ გვიშველეს“ თუ სხვ. კოგნიტიურ ცნობიერებაში საგნობრივი კოდით

ხდება ოპერირება და, ბუნებრივია, ეს ორი სიტყვა ერთსა და იმავე კატეგორიას განეკუთვნება, კატეგორიას, რომელიც ზრდასთან, ასაკთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთი კატეგორიის კოგნიტიურ კონცეპტთა გასიტყვება ერთი ენობრივი მოდელით უნდა მოხდეს. ამ კონკრეტული ფორმის გამოყენება მით უფრო გაუმართლებელია, რომ მისი გამოსახატავი კოგნიტიური კონცეპტისათვის ენაში არაერთი სიტყვა არსებობს, ესენია: მოხუცი, ხნიერი, მხცოვანი, ხანშიშესული, დროული, ასაკოვანი და სხვ. ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუ სტილურად შეფერილ, უარყოფითი კონოტაციის მქონე ერთეულებსაც დავასახელებთ.

ენობრივი ცნობიერება კოგნიტიური ცნობიერების კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს მეტყველებით ოპერირებას, რაც, თავის მხრივ, კონკრეტული ენის ნორმებისა და კომუნიკაციური ქცევის წესების ცოდნა-გამოყენებას გულისხმობს. სამყაროს კატეგორიზაცია კოგნიტიურსა და ენობრივ დონეებზე ერთგვაროვანი არ არის. ამას უკავშირდება არა თუ სხვადასხვა ენის შინაარსობრივი სხვაობისა და უეკვივალენტო კონცეპტების არსებობის საკითხი, არამედ კონკრეტული ენის მატარებლის კოგნიტიურ კონცეპტთა და ენობრივ მოდელთა შეუსაბამობის შემთხვევებიც.

ქვემოთ განვიხილავთ ენის სხვადასხვა დონის შეცდომებს, რომლებიც წმინდა კოგნიციის თვალსაზრისით მცდარად არ აღიქმება, მაგრამ ამ მოტივით მათი გამართლება შეუძლებელია. მაგალითად, კოგნიტიურ ცნობიერებაში არსებობს სულიერისა და უსულოს დიფერენციაცია, რისი ერთ-ერთი ილუსტრაციაცაა ქართულ ენაში ობიექტის სულიერება-უსულობის მიხედვით გარჩეული ყვან-ტან ძირები: წიგნი მოიტანა; ბავშვი მოიყვანა. ნათქვამიდან გამომდინარე, კოგნიტიურ დონეზე მართებულია მაგალითის/აზრის/სიტყვის/ციფრის/ციტატის... მოტანა, როგორც უსულო ობიექტებისა, მაგრამ აქ უკვე კომუნიკაციურ-დისკურსული კომპეტენციის საკითხი დგება: მყარი, ფრაზეოლოგიური გამოთქმები ლოგიკის წესებს არ ემორჩილება, ამიტომ ენობრივი ტრადიციით განმტკიცებული მართებული შეხამების ნიმუშებია, ერთი მხრივ, კაცმა მაგალითი მოიყვანა, მკერავმა კაბა წელში გამოიყვანა, რიცხვი ხარისხში აიყვანა... და, მეორე მხრივ, სულიერი ობიექტის შემთხვევაში ტან- ზმნური ფუძის გამოყენება: მანქანამ კაცი გაიტანა, ბავშვი შიშ-

მა აიტანა, ქალი კანკალმა აიტანა და სხვ. (იხ. „მაგალითი მოაქვს თუ მოჰყავს?“ – აფრიდონიძე 2009: 19-21).

ენაში არსებული მოდელები ნებისმიერ მასალას რომ ვერ იგულებს ამის საილუსტრაციოდ ზმნური ყალიბების განუკითხავად გამოყენების შემთხვევები უნდა დავიმოწმოთ: „ამჯერად თავს შევიკავებ და არ **დაგკონკრეტდები**“; „ვერ ვიტყვი, რომ **აღვტაცდი-მეთქი**, მაგრამ უდავოდ საინტერესო წიგნია“; „სტუდენტურ დღეებს ჩვენი გუნდი **აორგანიზებს**“; „ჩვენი ოპონენტები ამ საკითხს სპეციალურად **აპიარებენ**“; „გიორგი ვაშაძემ 28 დეკემბერს აქცია **დააანონსა**“; „ნდობა დაიკარგა და ვეღარც თანაპარტიელებს **ვეურთიერთებოდი**“; „საეჭვოდ **დაპანიკდნენ** მას შემდეგ, რაც ახალმა პროკურორმა ჟვანიას საქმის გადახედვა დაიწყო“; „2009 წელს ჩაიბარა გუნდი და იმავე წელს **აჩემპიონა**“ და სხვ.

არანაკლებ თვითნებური დამოკიდებულებაა მედიადისკურსში სახელური სიტყვაწარმოებითი მოდელების გამოყენების მხრივაც, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „მარაკანა“ **სამსოფლიოჩემპიონატოდ** ემზადება; „სოციალური ქსელები რომ არ არსებობდეს, სად წავიდოდა ამდენი სიბრძნისმეტყველი **მესტატუსე**?!“ „**ნამიტინგევს** აქტივისტები ქაშუეთთან შეიკრიბნენ“; „**ნამატჩევს** რუსთაველთა მწვრთნელი კმაყოფილი ჩანდა“; „დღეს „ტორპედოს“ მეტოქე **ზოლოადგილოსანი** „ზუგდიდი“ იყო“ და სხვ.

კოგნიტიური კონცეპტი „**შესაძლებლობა**“ ენის სემანტიკურ დონეზე სხვადასხვაგვარად ვლინდება. ერთ-ერთი მოდელია საწყისის ფუძე + სუფიქსი ად/დ, რომელიც თვისებას გამოხატავს. ინვერსიულ ლექსიკონში აღნიშნული სტრუქტურის 150-ზე მეტი სიტყვაა (გამოსხივებადი, შეხორცებადი, დნობადი, დრეკადი, ბრუნვადი, აღქმადი, დაყვანადი...), რომელთა დიდ უმრავლესობას ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დამატებით ცნობად მიწერილი აქვს: სპეც. – სპეციალური; წიგნ. – წიგნური; ტექ. – ტექნიკა (ტექნიკური) თუ სხვა კონკრეტულ დარგთა სახელწოდებები.

ის, რომ საწყისის ფუძე + ად/დ მოდელი ხმარების ინტენსივობის გამო სამეცნიერო ენის მახასიათებლად გვევლინება, ბუნებრივია, არ გამორიცხავს მის გამოყენებას საერთო სალიტერატურო ენაში. თუმცა ნებისმიერი ამგვარად ნაწარმოები სიტყვა ნეიტრალურ კონტექსტშიცა და ცალკე აღებულიც სტილური შეფერილობის მქონეა. მაგრამ ეს ფაქტი ვერ აბრკოლებს აღნიშნული მოდელის

მიმღობური ფორმების წარმოქმნასა და მათს გამოყენებას ყოფითს მეტყველებასა თუ მედიადისკურსში.

5 წლის წინ ჩვენ მიერ შესწავლილ ამ სტრუქტურის ახალგაჩენილ ფორმებს – ცნობადს, ყურებადს, სმენადს, გაყიდვადს, გაკეთებადს, განხორციელებადს, კონტროლირებადს [ომიაძე 2009: 163-166], დღეს უკვე დაემატა: **კითხვადი, წერადი, დალევადი, მოგებადი, ყიდვადი, გაყალბებადი, მოტყუებადი, აყვავებადი** და სხვა მრავალი. როგორც ვხედავთ, კვლავწარმოქმნის პროცესი არ შენელებულა, მაგრამ ახალწარმოქმნილ ერთეულთა ანალიზი ცხადყოფს, რომ უმეტეს შემთხვევაში გამოსახატავი შინაარსის გადმოსაცემად ენაში უფრო ბუნებრივი საშუალებები არსებობს.

ზემოთ განხილული მასალა მხოლოდ მცირე ნაწილია კოგნიტიურ ცნობიერებაში არსებული კონცეპტოსფეროს შეუსაბამო ენობრივი მოდელებით გაგარეგნებისა. მოხმობილ მაგალითთა უმრავლესობაში მეტყველების ეკონომიისაკენ მისწრაფება ჩანს, რაც სალიტერატურო ენის ნორმებისა და ენობრივი ტრადიციის უგულვებელყოფის ხარჯზე ხორციელდება და, ამდენად, ჩვენი აზრით, კატეგორიულად მიუღებელია.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 2009 – შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი.

ომიაძე 2009 – ს. ომიაძე, -ად/-დ მაწარმოებლის სიტყვათწარმოქმნელი ფუნქციის გააქტიურება თანამედროვე მასმედიის ენაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVII, თბილისი.

Попова, Стернин 2007 – Попова З. Д., Стернин И. А., Когнитивная лингвистика, Москва.

Salome Omiadze

**On Inappropriateness of Cognitive Conceptions and
Language Models**

S u m m a r y

Language consciousness is a component of cognate consciousness which provides speech implementing that implies the knowledge and using of norms and the rules of communicative behavior of a concrete language. Categorization of the world isn't homogenous on the cognitive and language levels. The issue of existence not only of contextual difference of various languages and of concepts having no equivalent, but the inappropriateness cases of cognate concepts and language models of a concrete language, as well, is linked with it.

The paper deals with the different errors of a language which aren't perceived to be errors from pure cognition standpoint. From this motive they cannot be justified, as the models existing in a language cannot adapt to any material. In most analyzed samples the striving for economy is observable that is carried out at expense of spurning of literary language norms and language tradition and consequently, I believe it is categorically unacceptable.